პატივცემულო კოლეგებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

გილოცავთ 2022 წლის საგაზაფხულო სასესიო პერიოდის გახსნას, რომელსაც მრავალი თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

სასესიო პერიოდის გახსნა გვიწევს უკიდურესად დაძაბული, ძნელად პროგნოზირებადი საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში, როდესაც პოსტსაბჭოთა სივრცეში მოსალოდნელია ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები; როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება უკრაინისკენ არის მიპყრობილი; როდესაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი უკრაინის საზღვრებთან სამხედრო ძალის დემონსტრირებით პირდაპირ აშანტაჟებს და გამოცდას უწყობს კოლექტიურ დასავლეთს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, აშანტაჟებს და გამოცდას უწყობს სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებას - ნატოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, დასავლეთიც და ნატოც ამჯერად წარმატებით ჩააბარებენ მათთვის მოწყობილ საკმაოდ მკაცრ გამოცდას. ჩვენი დღევანდელი მიმართვა მიზნად არ ისახავს საერთაშორიზო არენაზე შექმნილი სახიფათო მდგომარეობის სრულყოფილი ანალიზისა და შესაბამისი დასკვნების წარმოდგენას უმაღლესი საბჭოს წინაშე. ვიტყვით მხოლოდ იმის შესახებ, რომ რუსეთი, შეიჭრება უკრაინის ტერიტორიაზე თუ არ შეიჭრება, მივა კიევამდე თუ არ ან ვერ მივა, საბოლოო ჯამში, ის მაინც დამარცხდება ცივილიზებულ სამყაროსთან წესების გარეშე ჭიდილში და მკაცრადაც დაისჯება უპრეცედენტო თავხედობისთვის, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს რეგიონალურ და საყოველთაო მშვიდობას. ვუცხადებთ რა სოლიდარობას მოძმე უკრაინელ ხალხს, დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა როგორც უკრაინის, ისე სამხრეთ კავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს მიმართ სრულიად უპერსპექტივოა და კრახისთვისაა განწირული.

რუსეთის აგრესიული პოლიტიკა ნამდვილად არის თანამედროვე მსოფლიოს თავსატეხი, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობას უკვე ორი წელიწადია, რაც სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი თავსატეხიც გაუჩნდა კორონავირუსული პანდემიის სახით. პანდემიამ შეცვალა მსოფლიო. ცხადია, იგი დიდ გავლენას ახდენდა, ამჟამადაც ახდენს და, დიდი ალბათობით, უახლოეს თვეებშიც მოახდენს უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზეც. ამ თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა 2021 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდი, როდესაც მთელი კაცობრიობა, მათ შორის საქართველო აგრძელებდა ცხოვრებას და ბრძოლას სულ უფრო და უფრო მეტი საფრთხის შემცველ ახალ-ახალ შტამებთან და პანდემიურ ტალღებთან. როგორც ვხედავთ, ეს ე. წ. შტამები და ტალღები გარკვეული პერიოდულობით ერთმანეთს ენაცვლებიან - ენაცვლებიან და თან მოაქვთ ახალ-ახალი პრობლემები, ახალ-ახალი გამოწვევები. განვლილი სასესიო პერიოდის დასაწყისი კორონავირუსული პანდემიის მესამე ტალღიდან მეოთხეზე გადასვლას დაემთხვა, რომელმაც ჩვენი

კოლეგა და თანამებრძოლი დავით გვაძაბია მეუღლესთან ერთად შეიწირა. შემდგომში მოგვიწია მეხუთე ტალღასთან გამკვლავება. დღეს კი საგაზაფხულო სასესიო პერიოდი მეექვსე ტალღის პიკის მოახლოების პირობებში გავხსენით.

ეპიდემიოლოგიურ ვითარებას საერთაშორისო მასშტაბით და საქართველოშიც, ჯერჯერობით აქვს გაუარესების ტენდენცია. წარმოიდგინეთ, დღეისათვის ინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ მსოფლიოში 375 მილიონს გადააჭარბა, გარდაცვლილია 5.7 მილიონზე მეტი ადამიანი. ეს ციფრები ყოველდღიურად იზრდება. დაინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ საქართველოში, ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით, 1 163 ათასს მიაღწია, ხოლო ლეტალური შემთხვევების რიცხვი 15 ათასს მიუახლოვდა. დადებითობის ყოველდღიური მაჩვენებელი 20 %-ს აჭარბებს.

რთული ვითარებაა ოკუპირებულ აფხაზეთშიც. 31 იანვრის მონაცემებით, დაინფიცირებულთა საერთო რაოდენა 44 ათასამდე აღწევს, აქედან 600-მდე გარდაცვლილია. ბოლო დღეების სტატისტიკა განსაკუთრებით საგანგაშოა. ამა წლის 29 იანვარს 1270 ტესტირებულიდან აღმოჩნდა 701 ინფიცირებული; 30 იანვარს 808 ტესტირებულიდან 428 დადებითი პასუხია მიღებული. 31 იანვრის მონაცემები კი ასეთია: 1009 ტესტირებული და აქედან 592 დაინფიფირებული. როგორც ვხედავთ, ბოლო დღეებში დადებითობის მაჩვენებელი აფხაზეთში 55%-მდე აღწევს. ეს არის ნამდვილი კატასტროფა. მოტანილი ციფრები უბრალო მშრალი სტატისტიკა არ გახლავთ. მათ უკან ათასობით ჩვენი მოქალაქის პირადი ტრაგედია, თითოეული ჩვენთაგანის უდიდესი ტკივილი დგას.

ყოველივე ამის ფონზე შეუძლებელია ორიოდე სიტყვით არ შევეხოთ ე. წ. ანტივაქსერულ მოძრაობას. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ რამდენიმე მიმდევარი ამ ყბადაღებული მოძრაობისა უმაღლეს საბჭოსაც ჰყავს. ეპიდემიოლოგთა საერთო მოსაზრებით, ანტივაქსერები საფრთხეს უქმნიან, პირველ რიგში, საკუთარ თავს, მერე - ოჯახებს, კოლეგებს სამსახურში, მთლიანად საზოგადოებას. ალბათ, გეხსომებათ, გასული წლის 22 ნოემბერს ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრმა მარკ რიუტემ ანტივაქსერებს „იდიოტებიც“ კი უწოდა. ვიღაცა დაეთანხმება, ვიღაცა არ დაეთანხმება ასეთ მკაცრ შეფასებას, მაგრამ ერთი რამ ფაქტია - ანტივაქსერული ისტერია - კიდევ ერთი საშიში ვირუსია, რომელთანაც გამკვლავებას ჩვენ ვახერხებთ საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციების მკაცრად დაცვით. პირველ რიგში, ეს სახელმწიფო სტრუქტურებს, მათ შორის ჩვენც გვევალება. როცა სასწორზე, არც მეტი, არც ნაკლები, ადამიანების სიცოცხლე დევს, დაწესებული შეზღუდვები გამართლებულია. უმაღლესი საბჭოს ვალია მათი ზედმიწევნით აღსრულება - აღსრულება იმ რეგულაციებისა, რომლებიც ჩვენთან წინსწრებით - უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 2021 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე იმავე წლის 1 ნოემბრიდან დაწესდა, ხოლო 1 დეკემბრიდან კიდევ უფრო გამკაცრდა. ახალი შტამის - ომიკრონის მასობრივად გავრცელებამ გვაიძულა ა.

წ. 18 იანვარს მიგვეღო გადაწყვეტილება აპარატის თანამშრომლების მესამე დოზით ვაქცინირების შესახებ.

უმაღლეს საბჭოში, სადაც თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს დაინფიცირებულია, კოვიდრეგულაციების დაცვაზე მთავარი პასუხისმგებლობა, ცხადია, აპარატის უფროსს ბ-ნ ზურაბ მებონიას ეკისრება, მაგრამ ასევე ცხადია, რომ კომიტეტების თავმჯდომარეების მხარდაჭერისა და უშუალო ჩართულობის გარეშე სასურველი შედეგი მიღწეული ვერ იქნება. ამიტომაც გთხოვთ, პატივცემულო კოლეგებო - კომიტეტების თავმჯდომარეებო, კვლავაც აქტიური მონაწილეობა მიიღოთ პრეზიდიუმის ანუ პირადად თქვენს მიერ დადგენილი რეგულაციების აღსრულებაში. რაც შეეხებათ ჩვენს ანტივაქსერებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ისინი არავის გაუნთავისუფლებია. არასაპატიო მიზეზით გაცდენებისთვის კი ყველამ, მათ შორის ჩვენც, დეპუტატებმაც, უნდა ვაგოთ პასუხი, კანონის შესაბამისად.

პანდემიამ, რომელიც ორი წელიწადია ქვეყანაში მძვინვარებს, უდიდესი დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას, შესაბამისად, შემცირდა საბიუჯეტო შემოსავლები. ქვეყანა იძულებულია აიღოს საგარეო სესხი, საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართოს პანდემიის შესაკავებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად. ეს ყოველივე უარყოფითად აისახა ადამიანების, განსაკუთრებით ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ნაწილის - დევნილების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მოგეხსენებათ, ჩვენს დევნილებს არ აინტერესებთ, და ეს სწორიც არის, ხელისუფლების რომელ შტოს რა ევალება და რა არ ევალება. ხარ ხელისუფლება? მაშინ კეთილი უნდა ინებო და სიდუხჭირეში ჩავარდნილ თანამოქალაქეს უნდა დაეხმარო. ადამიანები ხშირად მოგვმართავდნენ, დღესაც მოგვმართავენ დახმარებისთვის, უკვე საკმაოდ გრძელი რიგიც დგას. ჩვენგან ითხოვენ საკვებ პროდუქტებს, წამლებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს და ა. შ. უმაღლესი საბჭოს ცხელ ხაზზე შემოსული განცხადებების ძალიან დიდი ნაწილი სწორედ საკვები პროდუქტების მიწოდების თხოვნას შეიცავს.

საყოველთაო სიდუხჭირის პირობებში ნამდვილ დეპუტატს არა აქვს უფლება გაჭირვებულ ადამიანს უთხრას: თავი დაგვანებეთ, ეს ჩვენ არ გვევალება, მიმართეთ სხვაგან და ა. შ. იმისათვის, რომ ოდნავ მაინც შეგვემსუბუქებინა სიდუხჭირეში მყოფი დევნილების მდგომარეობა, ყველამ ერთად, ვინც ამ დარბაზში ვიმყოფებით და, მიზეზთა გამო, აქ არ იმყოფებიან, დავაფუძნეთ ფონდი „სოციალური სოლიდარობისათვის“. უმაღლესი საბჭოს წევრები (ორი დეპუტატის გამოკლებით) და აპარატის უკლებლივ ყველა თანამშრომელი ყოველთვიურად საკუთარი ხელფასებიდან ფონდში რიცხავს გარკვეულ თანხას. ამ თანხით უმაღლესი საბჭო ატარებს ჰუმანიტარულ აქციებს, აწვდის საკვებ პროდუქტებს იმ კონკრეტულ ოჯახებს და მთელ ჩასახლებებს, რომლებიც მოგვმართავენ შესაბამისი თხოვნით. თითქმის ორი წლის განმავლობაში უმაღლესი საბჭოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა 100 ათას ლარზე მეტი გადარიცხეს ფონდში „სოციალური

სოლიდარობისათვის“, რითაც დახმარება გაეწია 2600-ზე მეტ ოჯახს, ანუ 14 500 ადამიანს. მარტო გასულ სასესიო პერიოდში თავი მოვუყარეთ 32 000 ლარზე მეტ თანხას, დავეხმარეთ 770-მდე ოჯახს სხვადასხვა ქალაქებში - თბილისში, რუსთავში, ბორჯომში, ზესტაფონში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

ფონდი ახორციელებს შემოსული თანხების, მათი ხარჯვის ზუსტ აღრიცხვას და პერიოდულად ანგარიშს აბარებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან პლენარულ სხდომას. მოტანილი ციფრების უკან, გარდა საკუთარი ჯიბიდან გაღებული თანხებისა, აპარატში დასაქმებული ნიჭიერი ახალგაზრდების ტიტანური ფიზიკური შრომაც დგას, რომელსაც მათ ავალებს არა რომელიმე კანონი თუ ბრძანება, არამედ ჩვენი დევნილი მოსახლეობისადმი ჭეშმარიტი სიყვარული, მათდამი თანაგრძნობა და სოლიდარობა, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, თუ გნებავთ, სახელმწიფოებრივი აზროვნება. ეს ფიზიკური შრომა კი ტონობით პროდუქტების შეძენაში, დაფასოებაში, ტრანსპორტირებასა და უშუალოდ დევნილებთან მიტანაში გამოიხატება. ყოველივე ამისათვის ადრეც გვითქვამს და თქვენი სახელით დღესაც განსაკუთრებულ მადლობას ვეუბნებით ქ-ნებს ნანა კვარაცხელიას, ნათია დარსანიას, შორენა მირცხულავას, ბატონებს გიგა შელიას, თემურ ურიდიას, ხვიჩა ქარდავას, ზურაბ ქეცბაიას, ნიკა ქარდავას, გელა პაპასქუას და სხვებს....

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უმაღლესი საბჭოს ჰუმანიტარული აქციები იმავდროულად წარმოადგენენ ჩვენს დევნილებთან რეგულარული შეხვედრებისა და მუდმივი კონტაქტის დამყარების, მათი პრობლემების უკეთ გაცნობის, ამ პრობლემების ნაწილობრივ მაინც მოგვარების ერთ-ერთ ფორმას და საშუალებას. ამიტომაც იქნა მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილება 2022 წლის საგაზაფხულო სასესიო პერიოდშიც და შემდგომშიც „სოციალური სოლიდარობის“ ფონდის ფუნქციონირების გაგრძელების შესახებ. კვლავაც და კვლავაც მოვუწოდებთ აფხაზეთის მთავრობას, ცალკეულ სამინისტროებს, ჩაერთონ „სოციალური სოლიდარობის“ უკეთილშობილეს აქციაში.

განვლილი ორი წელიწადი, მათ შორის 2021 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდი უმაღლესი საბჭოსთვის იქცა ნამდვილ გამოცდად. ჩვენ ვისწავლეთ და ძალიან კარგადაც ვისწავლეთ კორონავირუსულ პანდემიასთან თანაცხოვრება, როგორც ამის თაობაზე მოგვიწოდებენ პატივცემული ჯანდაცვის მუშაკები. უფრო მეტიც, ვისწავლეთ პანდემიის პირობებში მუშაობაც და არც თუ ისე ცუდად. არ მინდა გავიმეორო ერთ-ერთ ადრინდელ მიმართვაში ნათქვამი სიტყვები, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ საქართველოში ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც 2020 წლის თებერვალ-მარტში ანუ პანდემიის საწყის ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში ჯერ კიდევ გაურკვევლობა და, შეიძლება ითქვას, დაბნეულობა სუფევდა, უმტკივნეულოდ მოახერხა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა, შესაბამისი ტექნოლოგიების სრულყოფილად ათვისება, უმაღლესი საბჭოს ფუნქციონირების ყოველგვარი შეფერხების გარეშე გაგრძელება. ალბათ, დაგვეთანხმებით, პატივცემულო კოლეგებო, რომ მთელი ამ პანდემიური პერიოდის განმავლობაში უმაღლესი საბჭო

სრული დატვირთვით თუ მუშაობდა, ამისათვის ჩვენს აპარატში დაწინაურებულ ახალგაზრდა კადრებს უნდა ვუმადლოდეთ, იმ კადრებს რომლებიც მაღალი რანგის პროფესიონალები არიან. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ მათ გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდა, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა ახალ რეალობასთან ადაპტირება და უმაღლესი საბჭოს გამართული ფუნქციონირება. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური ქ-ნ ნანა კვარაცხელიას ხელმძღვანელობით, ასევე აღნიშნული სამსახურის შემადგენლობაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, რომელსაც ბ-ნი გიგა შელია ხელმძღვანელობს.

უმაღლეს საბჭოს კვლავაც ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში უწევს მუშაობა. ასე იყო მთელი განვლილი სასესიო პერიოდის განმავლობაშიც. მიუხედავად პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა, გაიმართა უმაღლესი საბჭოს 18 პლენარული სხდომა, პრეზიდიუმმა კი 25 სხდომა ჩაატარა, რომლებზეც უმნიშვნელოვანესი საკითხები იქნა განხილული. ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა კომიტეტებისა და ფრაქციების საქმიანობა, რისთვისაც მადლობა ეკუთვნით ხუთივე კომიტეტისა და სამივე ფრაქციის თავმჯდომარეს.

ჩვენი საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა და ამჯერადაც წარმოადგენს საკანონმდებლო სფერო. ამ კუთხით მცირე წარმატებაც გვაქვს. საშემოდგომო სასესიო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა სამივე მოსმენით მიიღო, ანუ საბოლოოდ დაამტკიცა უმაღლესი საბჭოს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი ორი კანონპროექტი, მე ვიტყოდი, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორი კანონპროექტი. გასული წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ჩვენს მიერ წარდგენილი ცვლილებები საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“. ამიერიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები უფლებამოსილნი არიან პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით დააფუძნონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. აღნიშნული კანონპროექტის ავტორი გახლდათ აფხაზეთის მთავრობა, რომელმაც დაინახა და სწორადაც დაინახა ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის საჭიროებას მორგებული პროფესიული სასწავლებლის დაფუძნების აუცილებლობა. კანონი უკვე მიღებულია. იმედი გვაქვს, ახლო მომავალში ასეთი სასწავლებელი დაფუძნდება, რომელშიც ჩვენი მოქალაქეები აფხაზეთის დროებით ოკუპირებული ტერიტორიიდან მათთვის სასურველ სპეციალობას დაეუფლებიან და ზოგად განათლებასაც მიიღებენ, რათა შემდგომში გააგრძელონ ცხოვრება და საქმიანობა იმავე ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს პარლამენტში უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კიდევ ერთი კანონპროექტი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მისმა საკომიტეტო

განხილვამ პარლამენტში საინტერესო დისკუსია გამოიწვია, რადგანაც მსგავსი ცვლილებები ქართულ სამართლებრივ სივრცეში პირველად ხორციელდებოდა. კანონპროექტმა მრავალპარტიული მხარდაჭერა მოიპოვა, რაც მხოლოდ მისასალმებელია. პარლამენტმა იგი საბოლოოდ 2021 წლის 16 ნოემბერს დაამტკიცა.

საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკისა და ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, კანონში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ შევიდა ძეგლის დისკრიმინაციული ნიშნით დაზიანებისა და იმავე ნიშნით ძეგლის განადგურების ცნება. დღეს უკვე ხელთა გვაქვს დამატებითი სამართლებრივი ბერკეტი ოკუპირებულ ტერიტორიაზე საფრთხის ქვეშ აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასაცავად. ამიერად ყველაზე მეტად ჩვენზე - უმაღლეს საბჭოზე იქნება დამოკიდებული ამ სამართლებრივი ბერკეტის ეფექტურად გამოყენება. მინდა მადლობა მოვახსენო თავმჯდომარის კაბინეტის უფროსს, სამართლის დოქტორს ბ-ნ ნოდარ თოფურიძეს, რომელიც გახლავთ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების როგორც ძირითადი ავტორი, ისე პარლამენტში გამართული მოსმენების მთავარი მონაწილე. ბატონ ნოდარ თოფურიძეს მოუწია პარლამენტის მიერ უკვე მიღებული კანონის დაცვა პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც, სანამ მას ხელი მოეწერებოდა. განხორციელებული ცვლილებები ადმინისტრაციის მეტად გამოცდილი სპეციალისტებისთვისაც ისეთი სიახლე აღმოჩნდა, რომ მათ დასჭირდათ დამატებითი კონსულტაციები. მოგეხსენებათ, მსგავსი შემთხვევები ხდება ძალზე იშვიათად.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით მინდა განვაცხადო შემდეგი: უმაღლეს საბჭოში კულტურის სფეროს კურირებს ბატონი ნუგზარ მგალობლიშვილი - საერთაშორისო კავშირების, განათლებისა კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე; ამ მიმართულებით ბევრს შრომობს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ზურაბ ჯგუბურია. ეჭვიც არ გვეპარება, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან, ჩვენს იურისტებთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, თქვენ ყველაფერს იღონებთ აფხაზეთში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საერთაშორისო სასამართლოებში დასაცავად. სამართლებრივი ბაზა კი, როგორც მოგახსენეთ, მზად არის.

კოლეგებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტში სულ რვა კანონპროექტი გვქონდა წარდგენილი. მათ შორის იყო საკანონმდებლო ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა ცვლილებებს საქართველოს ხუთ კანონში: „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „მობილიზაციის შესახებ“, „არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“. 2021 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, უმაღლესმა საბჭომ

აღნიშნული კანონპროექტები პარლამენტიდან გამოიწვია. საქმე იმაში გახლავთ, რომ მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს თავდაცვის კოდექსზე, რომელშიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ჩვენს მიერ პარლამენტში წარდგენილი და შემდეგ გამოწვეული კანონპროექტების ძირითადი დებულებები. ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი საბჭოს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა უნდა გააგრძელოს ამ მიმართულებით მუშაობა როგორც პარლამენტთან, ისე თავდაცვის სამინისტროსთან. შეგახსენებთ, რომ ხუთივე კანონპროექტის ავტორი გახლავთ აფხაზეთის მთავრობა, რომელიც მადლობას იმსახურებს საკანონმდებლო სფეროში გაწეული შრომისთვის, ამ კუთხით უმაღლეს საბჭოსთან აქტიური თანამშრომლობისთვის.

ამჟამად საქართველოს პარლამენტში რჩება ჩვენს მიერ ჯერ კიდევ 2020 წლის ივნისში წარდგენილი კანონპროექტი „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების თაობაზე. კოლეგებს შევახსენებთ, რომ ცვლილებები ითვალისწინებენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების შემდგომ გამარტივებას. მოგეხსენებათ, ამ ადამიანებს ყველა დონეზე ისედაც თანამოქალაქეებად მოვიხსენიებთ და სავსებით სამართლიანადაც. არ არის აუცილებელი ვრცელი საუბარი ამ საკითხის აქტუალობაზე, მის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით დღეს, როდესაც მოსკოვი კატეგორიულად მოითხოვს რუსეთსა და აფხაზეთს შორის ორმაგი მოქალაქეობის შესახებ სამთავრობო დადგენილების გაფორმებას. შესაბამისი პროექტი ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში სოხუმიდან მოსკოვში გაიგზავნა.

თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს კრემლი მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხს, კარგად ჩანს რუსეთის როგორც მოქმედი კანონიდან მოქალაქეობის შესახებ, ისე განსაკუთრებით პრეზიდენტ ვ. პუტინის მიერ სახელმწიფო სათათბიროში (დუმაში) 2021 წლის 29 დეკემბერს წარდგენილი ახალი კანონპროექტიდან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ, რომელიც მალე კანონად იქცევა. მოვიტან რამდენიმე მაგალითს ამ ახალი კანონპროექტიდან. მასში უფრო ვრცლად, ვიდრე მოქმედ კანონში, არის წარმოდგენილი ორმაგი მოქალაქეობის საკითხი. ტერმინთა განმარტებაში (მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი) აღნიშნულია, რომ ორმაგი მოქალაქეობა ნიშნავს, როდესაც რუსეთის მოქალაქე ხდება „უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელთანაც რუსეთის ფედერაციას დადებული აქვს საერთაშორისო ხელშეკრულება ორმაგი მოქალაქეობის შესახებ“. ახლა ვნახოთ, რას ითვალისწინებს 2020 წლის 12 ნოემბერს სოჭში ხელმოწერილი, ჩვენთვის კარგად ცნობილი 45 პუნქტიანი პროგრამის ანუ რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიის პროგრამის მეორე პუნქტი: „ორმაგი მოქალაქეობის თაობაზე აფხაზეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის შეთანხმების შემუშავება და ხელმოწერა“. ალბათ, დამეთანხმებით, აქ ზედმეტია ყოველგვარი კომენტარები.

რუსეთის ფედერაცია არის ერთადერთი, ყოველ შემთხვევაში, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრ და სხვა დიდ სახელმწიფოებს შორის, რომლის მოქმედ კანონში მოქალაქეობის შესახებ, ხოლო უფრო ვრცლად ახალ კანონპროექტში (მუხლი მე-12, პ. 4-ე; მუხლი მე-20) რუსეთის მოქალაქეობის მიღების ერთ-ერთ საფუძვლად აღიარებულია არჩევანის უფლება რუსეთის ფედერაციის **სახელმწიფო საზღვრის შეცვლისას** ანუ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ტერიტორიაზე, **რომლის სახელმწიფო კუთვნილება შეიცვალა,** თვითონ ირჩევენ მოქალაქეობას (ოპტაცია). დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რომ ეს მუხლები იყო და არის განკუთვნილი იმ ე. წ. კონფლიქტური რეგიონებისთვისაც პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელთა ანექსიას, რომელთა სახელმწიფო კუთვნილების შეცვლას რუსეთი აპირებს.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიტანთ. მოქმედ კანონშიც და პროექტშიც, კერძოდ მე-15 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოწერილია მოთხოვნები მოქალაქეობის მაძიებლისადმი: ფიცის დადება, რუსული ენის, ასევე რუსეთის ისტორიისა და სამართლის საფუძვლების ცოდნა და ა. შ. იმავე მუხლის მეორე პუნქტში კი წერია, რომ ცალკეულ შემთხვევებში მოქალაქეობის მაძიებელი თავისუფლდება აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან. ცხადია, ამ შემთხვევაში იმ კონფლიქტური რეგიონების მაცხოვრებლებიც იგულისხმებიან, რომელთა ანექსიაც რუსეთს აქვს განზრახული. სხვათა შორის, ჩვენს მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტიც ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა განთავისუფლებას ქართული ენის, ასევე საქართველოს ისტორიისა და სამართლის საფუძვლების ცოდნის ვალდებულებისაგან, თუმცა, როგორც ხედავთ, ის ჯერ კიდევ კანონპროექტად რჩება.

„მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტზე საუბარი მინდა დავასრულო შემდეგი დასკვნით: რუსეთის ფედერაციას მზად აქვს და ახლო მომავალში კიდევ უფრო სრულყოფს საკანონმდებლო ბაზას იმისათვის, რომ მეზობელი სახელმწიფოებისაგან, მათ შორის საქართველოსაგან მიტაცებული, ანექსირებული ტერიტორიების მოსახლეობას მაქსიმალურად გაუმარტივოს რუსეთის მოქალაქეობის მიღება. ჩვენ ამ დროს, სამწუხაროდ, ჯერ არ თუ ვერ შეგვიქმნია სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა იმისათვის, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული ჩვენი ძირძველი ტერიტორიების მოსახლეობას მაქსიმალურად გავუმარტივოთ საქართველოს მოქალაქეობის მიღება თუ აღდგენა, ქართულ სამართლებრივ სივრცეში დაბრუნება. უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიზანი სწორედ ამ ხარვეზის რაც შეიძლება სწრაფად გამოსწორებაა.

რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი თანამემამულეებისათვის, განურჩევლად ეროვნებისა, მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება, მიუთითებს ერთი ფრიად საინტერესო და მრავლისმეტყველი ფაქტი. განვლილ სასესიო პერიოდში უმაღლეს საბჭოს, პირველად მთელი ამ 30 განმავლობაში, მიმართეს ჩვენმა ბერძენმა თანამემამულეებმა, რომლებიც

ცხოვრობენ დღეს საბერძნეთში, მაგრამ სურთ საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება თუ აღდგენა, ქონების დაბრუნება და ა. შ. დამეთანხმებით, ეს არ არის რიგითი მოვლენა და მას როგორც ჩვენი, ისე სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, გვმართებს მეტი აქტიურობა, რათა ახლო მომავალში დაიწყოს კანონპროექტის განხილვა. კარგად გვესმის, რომ ნებისმიერი ცვლილება კანონში მოქალაქეობის შესახებ მოითხოვს ფართო კონსენსუსს, შეთანხმებას მთელ რიგ უწყებებთან. ერთ-ერთ მთავარ უწყებასთან - საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, რომელსაც ადრე ჰქონდა კრიტიკული შეკითხვები პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით, ფაქტობრივად კონსენსუსს მივაღწიეთ. ჩვენი აზრით, ახლა საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური ნება, რათა პარლამენტში დაიწყოს „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტის განხილვა. დღევანდელი პლენარული სხდომის თხოვნაც და დავალებაც იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტისადმი ბატონ ვახტანგ ყოლბაიას ხელმძღვანელობით, ასევე თავმჯდომარის კაბინეტისადმი იქნება ამ მეტისმეტად გაჭიანურებული პროცესის დაჩქარება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რითაც დაკავებულია უმაღლესი საბჭო, გახლავთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ჩვენი, ანუ ასეულ ათასობით აფხაზეთიდან დევნილის საკუთრების ბედი. დღეს ამ საკუთრებას რეალური საფრთხე ემუქრება. მინდა ხაზი გავუსვა, რომ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით უმაღლეს საბჭოში მომზადდა და ქვეყნის პირველი პირების სახელზე ორჯერ გაიგზავნა ანალიტიკური ხასიათის დოკუმენტები მოხსენებითი ბარათების სახით, რომლებშიც გაცემულია პასუხი ყველა, ხაზს ვუსვამ, ყველა სადავო კითხვაზე, განხილულია ყველა რეალური თუ არალეალური საფრთხე, რომელთა გამო საქართველოს მთავრობა დღემდე თავს იკავებს დევნილთა საკუთრების რეგისტრაციისაგან. დოკუმენტები მომზადებულია თავმჯდომარის კაბინეტის წევრის, შესანიშნავი პროფესიონალის ირაკლი დბარის მიერ.

გასული წლის 10 დეკემბერს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაციის „ფენიქსი-სოხუმი“-ს ხელმძღვანელმა ალექსანდრე თურქიამ გამართა პრეზენტაცია თემაზე: „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების აღწერა“. გარდა დეპუტატებისა და ჩვენი სპეციალისტებისა, პრეზენტაციას ესწრებოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ ღონისძიებაზე წარმოდგენილი მასალებისა და გამოთქმული საინტერესო მოსაზრებების გათვალისწინებით, ბატონმა ირაკლიმ მოამზადა ადრე შექმნილი მოხსენებითი ბარათების ახალი, უფრო ვრცელი ვარიანტი, რომელიც კარგ სამსახურს გაგვიწევს ჩვენი პოზიციების დაცვისას ნებისმიერ დონეზე და ნებისმიერ ოპონენტთან კამათისას. მოხსენების ამ ახალ ვარიანტშიც დამაჯერებლად არის გაბათილებული საპირისპირო არგუმენტები. გარდა ამისა, მასში დასაბუთებულია, რომ დევნილთა ქონების რეგისტრაციის

საკითხის დადებითად გადაჭრა ხელს შეუწყობს დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებას; გაგვეხსნება ხელ-ფეხი იმისათვის, რომ დავიწყოთ სამართლებრივი დავები ოკუპანტებთან აფხაზეთიდან დევნილთა საკუთრების უფლების დარღვევებთან დაკავშირებით.

არ შევუდგები იმის მტკიცებას, რამდენად აქტუალური და საჩქაროა ეს საკითხი დღეს, როდესაც ოკუპანტები ცდილობენ ჩვენი საკუთრების ხელში ჩაგდებას. ასევე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ქონება დავკარგეთ არა მხოლოდ ქართველებმა, არამედ აფხაზეთში მცხოვრები ბერძნების, რუსების, უკრაინელების, ესტონელების, ებრაელების და სხვა ეთნიკური ჯგუფების დიდმა ნაწილმა. შესაბამისად, დევნილთა ქონების რეგისტრაციის დაშვებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დამატებით შევიძენთ დაკარგული ქონების დაბრუნებისათვის ათეულ ათასობით მებრძოლს, შესაბამისად, მოკავშირეებს დეოკუპაციისათვის ბრძოლაში. ჩვენ უკვე ვახსენეთ ბერძენი თანამემამულეები. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება-აღდგენისა და ქონების დაბრუნების სურვილი სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებსაც ექნებათ. ისევ თქვენ მოგმართავთ, ბატონო ვახტანგ! ჩვენ კვლავაც ერთობლივად მოგვიწევს დევნილთა საკუთრების რეგისტრაციის საკითხზე მუშაობის გაგრძელება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან.

უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია აფხაზეთის მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი გახლავთ. მოგეხსენებათ, კონსტიტუციისა და რეგლამენტის თანახმად, არსებობს კონტროლის სხვადასხვა ფორმა. განვლილ სასესიო პერიოდში, უფრო კონკრეტულად 2021 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამართულ პლენარულ სხდომებზე ინტერპელაციის წესით მოვუსმინეთ ჩვენი მთავრობის ხუთივე მინისტრს. კოლეგების საერთო მოსაზრებით, ინტერპელაციის წესით გამართული მოსმენები, იყო სასარგებლო ორივე მხარისათვის. რა თქმა უნდა, მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი ახალ სასესიო პერიოდშიც გაგრძელდება - გაგრძელდება ინტერპელაციის წესით მოსმენებიც და ანგარიშებიც.

მოგეხსენებათ, არც ერთი და არც მეორე თვითმიზანი არ გახლავთ. მთავარია მათი ეფექტიანობა, მთავარია შედეგი. მაგალითისთვის შეგახსენებთ, რომ 2020 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდში - 18 და 26 ნოემბერს - ჩვენ მოვისმინეთ ორი უწყების - ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის, ასევე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მაშინდელი მინისტრების ანგარიშები. შედეგად რა მივიღეთ - შეთანხმებული მუშაობა, ხარვეზების გამოვლენა და მათი გამოსწორება? სამწუხაროდ, არა. შედეგად ის მივიღეთ, რომ ორივე სამინისტროს მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის გარკვეულ მიმართულებებს 2021 წლიდან იძიებს საქართველოს პროკურატურა, ორი პიროვნება კი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. სავარაუდო დანაშაულის სიმძიმეს თავი რომ დავანებოთ, ჩვენ არ ვიცით ამ დიდ სირცხვილს როდის ჩამოვირეცხავთ.

ადრეც გვითქვამს და დღესაც გავიმეორებთ: მომხდარზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა მთავრობასთან ერთად უმაღლეს საბჭოსაც ეკისრება. როგორც ჩანს, მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის მექანიზმები არის დასახვეწი, თუ გვინდა, რომ კონტროლი იყოს ეფექტიანი, შედეგზე ორიენტირებული. როდესაც უმაღლესი საბჭო დაგეგმავს პლენარულ სხდომაზე ამა თუ იმ მინისტრის ანგარიშის განხილვას ან ინტერპელაციის წესით მის მოსმენას, შესაბამისი კომიტეტები, ფრაქციები, ცალკეული დეპუტატები - შეკითხვების ავტორები, ზუსტად ისე უნდა ემზადებოდნენ, როგორც ემზადება ან უნდა ემზადებოდეს მინისტრი ანგარიშის თუ წინასწარ დასმულ შეკითხვებზე წერილობითი პასუხის მოსამზადებლად.

მნიშვნელოვანია საკომიტეტო კონტროლის განხორციელება. ამ მხრივ საკმაოდ სოლიდური გამოცდილებაც გვაქვს. მარტო სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანდაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტის უაღრესად პოზიტიური გამოცდილება რად ღირს, რის შესახებაც ხშირად გვისაუბრია. კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ რუდიკ ცატავას მუდმივი და საქმიანი ურთიერთობა აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რაც ძალიან კარგ შედეგს იძლევა. ყველა კომიტეტი ცდილობს ზედამხედველობა გაუწიოს შესაბამის სამინისტროს და ასეც უნდა გაგრძელდეს. რაც შეეხება საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ბ-ნ მურმან კვარაცხელიას ხელმძღვანელობით, მისი მოვალეობაა მთლიანად საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობა, საბიუჯეტო დისციპლინის დაცვაზე კონტროლის განხორციელება. გარდა ამისა, კომიტეტს და მის აპარატს შეთავსებული აქვს რესპუბლიკური ბიუჯეტის სისტემური ანალიზის ფუნქცია. ასეთი ანალიზის ჩატრებას გვავალებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი. გთხოვთ, ბატონო მურმან, ამ კუთხითაც გააქტიურებას.

მინდა გავიმეორო გასული წლის საშემოდგომო სესიის გახსნისას გამოთქმული თხოვნა ბატონების რუდიკ ცატავასა და მურმან კვარაცხელიას მიმართ იმის თაობაზე, რომ კვლავაც გააგრძელონ და მეტი მონდომებით განახორციელონ ზედამხედველობა დევნილთა დასაქმებასთან, მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული სამთავრობო პროექტების რეალიზაციის მიმდინარეობაზე, მათ შორის ამ მიზნით გამოყოფილი თანხების ხარჯვის გამჭვირვალობაზე და ეფექტიანობაზე. როგორც ჩანს, ყურადღება უნდა მიექცეს ასევე დევნილთა ჩასახლებებში მცირე სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ათვისების მიმდინარეობას, რათა ყველა ეს საკითხი მომავალშიც არ გახდეს საქართველოს პროკურატურის განსჯის საგანი. გავიმეორებთ 2021 წლის საშემოდგომო სესიის გახსნისას გამოთქმულ კიდევ ერთ თხოვნას ამჯერად უკვე აფხაზეთის ა/რ-ში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დეპარტამენტის მიმართ ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების შესახებ. აუდიტმა უნდა დადოს კვალიფიციური დასკვნა მთავრობის მიერ განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების ეფექტიანობის თაობაზე.

უმაღლესი საბჭოსთვის, ზოგადად ნებისმიერი წარმომადგენლობითი ორგანოსთვის ადამიანის უფლებების დაცვა იყო, არის და სულ იქნება პრიორიტეტული; ეს არის საკითხი, რომელიც მუდმივ და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ადამიანის უფლებათა დაცვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომიტეტს, რომელსაც დევნილთა უფლებების შეუპოვარი დამცველი ქ-ნი ადა მარშანია უდგას სათავეში. კარგად ვიცით, რა პრობლემები აწუხებთ აფხაზეთიდან დევნილ ჩვენს მოქალაქეებს. უმაღლესი საბჭოს ცხელ ხაზზე, რომელსაც აფხაზეთიდან ლტოლვილ და იძულებით გადაადგილებულ პირებთან ურთიერთობის კოორდინატორი ბატონი გურამ მაღლაკელიძე თავის გუნდთან ერთად მართავს და საკმაოდ კარგადაც მართავს, შემოდის ასობით შეტყობინება, რომელთა უკან ათასები დგანან. ყველაზე მეტად ადამიანებს აწუხებთ თავშესაფრის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების და სხვა პრობლემები. ასობით დევნილი მსგავს საკითხებზე მოგვმართავს უშუალოდ ჩვენ, დეპუტატებს. უმაღლესი საბჭო ყურადღების გარეშე არ ტოვებდა ადრე და არც მომავალში დატოვებს არც ერთ მომართვას. მართალია, დევნილებს ხშირად აწუხებთ ისეთი საკითხები, რომლებიც ჩვენს უშუალო კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ ეს გარემოება, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, არანაირად არ გვანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. მსგავს შემთხვევებში დეპუტატებს და აპარატის თანამშრომლებს უწევთ აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართულობით დევნილთა მომართვებზე რეაგირება და ზრუნვა მათი მოთხოვნების შესაძლებლობის ფარგლებში დაკმაყოფილებისათვის.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანს მიზნის მისაღწევად მხოლოდ კვალიფიციური კონსულტაცია სჭირდება. ასეთ კონსულტაციას დევნილები იურიდიული და საქმის წარმოების დეპარტამენტის ხელმძღვანელისაგან ქ-ნ ნინო ხუნჯუასაგან იღებენ. მის მიერ დაკვალიანებული დევნილები არც თუ ისე იშვიათად ბინის პრობლემასაც აგვარებენ, რისთვისაც ნინო უთვალავ მადლობებს იღებს, რომლებსაც ჩვენც დიდი სიამოვნებით ვუერთდებით.

იმისათვის, რომ უფრო ეფექტურად დავიცვათ ადამიანის უფლებები, არ არის საკმარისი მხოლოდ ცხელ ხაზზე თუ სხვა გზით უმაღლეს საბჭოში შემოსულ განცხადებებსა და შეტყობინებებზე რეაგირება. ადამიანის უფლებათა დაცვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომიტეტი, ვფიქრობთ, უნდა დაკავდეს დევნილთა წინაშე მდგარი პრობლემების კვლევით, მათი წინასწარი და ზუსტი იდენტიფიცირებით, სათანადო სამოქმედო გეგმის შედგენით, აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენით და გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებით. ასეთი მასშტაბური სამუშაოს ჩატარება არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი იქნება. ჩვენი სურვილია, კომიტეტის ერთგვარ სამუშაო ორგანოდ იქცეს ცხელი ხაზი. ვფიქრობთ, დადგა მისი რეორგანიზაციის დროც, რათა ცხელი ხაზზე დასაქმებული პერსონალის ფუნქცია და

საქმიანობა უფრო ქმედითი, მთლიანად დევნილთა საჭიროებაზე მორგებული გახდეს.

ასევე, დროა, ვიფიქროთ უმაღლეს საბჭოსთან საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებაც, რომელიც სხვადასხვა საკრებულოების დევნილი წევრებით, აქტიური და საქმიანი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებით, ცალკეული ჩასახლებების კოორდინატორებითა და დევნილთა კონკრეტული პრობლემების ღრმად მცოდნე სხვა ღირსეული ადამიანებით დაკომპლექტდება. ბატონო თამაზ, თქვენ უნდა მოჰკიდოთ ხელი ამ არც თუ ისე მარტივ, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს.

უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის, რა პრობლემებითაც არ უნდა ვიყოთ ჩვენ დაკავებულები, უპირველესი საზრუნავი მაინც ოკუპირებული ტერიტორიაა. კოლეგებმა იციან, რომ მუდმივ რეჟიმში ხორციელდება იქ არსებული ვითარების მონიტორინგი, პერიოდულად ტარდება ბრიფინგები, სადაც კეთდება შეფასებები და შესაბამისი განცხადებები. უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ ოკუპირებული, უმკაცრესი სამხედრო კონტროლის ქვეშ მოქცეული აფხაზეთი დღეს დიდი განსაცდელის წინაშეა. განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში რუსეთი აშკარად, მისთვის ჩვეულ უხეშ ფორმებში ეწევა ანექსიონისტურ პოლიტიკას აფხაზეთის მიმართ. ამ მიზანს ემსახურება ხელოვნურად პროვოცირებული და კრემლიდან მართული პერმანენტული პოლიტიკური კრიზისები, მწვავე სამოქალაქო დაპირისპირება, რომელიც დღესაც გრძელდება; ანექსიონისტური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახლავთ ასევე ხელოვნურად, მიზანმიმართულად შექმნილი ეკონომიკური კოლაფსი, მძიმე ენერგეტიკული კრიზისი, საიდანაც აფხაზეთი საკუთარი ძალებით ვერასოდეს გამოვა. პოლიტიკურ არასტაბილურობას და ეკონომიკურ სიდუხჭირეს ემატება პანდემია, რომლის მართვის ინტელექტუალური, ორგანიზაციული და ფინანსური რესურსი აფხაზეთს არ გააჩნია.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ და კუთხეში მიმწყვდეულ აფხაზებს - დე-ფაქტო პრეზიდენტსა და პრემიერს 2020 წლის 12 ნოემბერს რუსეთმა ხელი მოაწერინა, შეიძლება ითქვას თვითმკვლელობის აქტზე - აფხაზეთის კანონმდებლობის რუსეთის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საფუძველზე საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების 45 პუნქტიან პროგრამაზე, რომელიც 2023 წლამდეა გათვლილი. ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრია და დეტალურადაც განგვიხილავს ეს დოკუმენტი, ამიტომ მის შინაარსზე ამჯერად არ შევჩერდებით. მხოლოდ შეგახსენებთ იმის თაობაზე, რომ „პროგრამის“ 15 პუნქტი, მათ შორის ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანი რამდენიმე პუნქტი, გასული წლის ბოლომდე უნდა შესრულებულიყო. უმაღლესი საბჭოს შესაბამისი კომიტეტები კი ვალდებული იყვნენ თვალყური ედევნებინათ ამ პროცესისთვის, რათა ყოველ ჯერზე სათანადო რეაგირება მოგვეხდინა.

ე. წ. ჰარმონიზაციის ანუ რუსეთის სამართლებრივ სივრცეში აფხაზეთის მოქცევის პროგრამა მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზური საზოგადოებისათვის. თვით დე-ფაქტო პარლამენტსაც კი აღნიშნული პროგრამის ე. წ. რატიფიკაცია არ მოუხდენია და 2021 წლის ბოლომდე მისაღები ე. წ. საკანონმდებლო ცვლილებებიც არ განუხორციელებია. აფხაზური საზოგადოების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მისი ზეწოლით ზემოხსენებული პროგრამის არც ერთი პუნქტი აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას დღემდე არ შეუსრულებია, თუმცა მუშაობა თითქოს მიმდინარეობს. 2022 წლის ბოლომდე აფხაზურმა მხარემ 45 პუნქტიანი „პროგრამის“ კიდევ რვა პუნქტი უნდა შეასრულოს.

რუსეთი იმედოვნებს, რომ 2022 წლის მარტისთვის დანიშნული დე-ფაქტო არჩევნების შედეგად სოხუმში ისეთი „პარლამენტი“ ჩამოყალიბდება, რომელიც მხარს დაუჭერს იმ ე. წ. პროგრამას, ასევე აფხაზეთში მიწების გასხვისებას. თუმცა მიწების გასხვისება, დე-ფაქტო კანონმდებლობის დარღვევით დიდი ხანია მიმდინარეობს. როგორც ვიცით, დე-ფაქტო ხელისუფლების ჩუმი თანხმობით, გაგრის ზონის სოფელი აიბღა უკვე წაღებულია; უზარმაზარ მიწებს ფლობს აფხაზეთში განთავსებული რუსული VII სამხედრო ბაზა. იგი ამჟამად დამატებით ითხოვს კიდევ ათობით ჰექტარ მიწას ოჩამჩირის რაიონში, რასაც აფხაზები ეწინააღმდეგებიან.

სათანადო ყურადღების მიღმა რჩება აფხაზეთში დიდი რაოდენობით რუსულ ეკლესიას დაქვემდებარებული „ბერების“, სინამდვილეში კი პენსიაზე გასული სპეცსამსახურების წარმომადგენლების ჩამოსახლება. მათი რაოდენობა, არაოფიციალური მონაცემებით 4 ათასამდეა. ეს ციფრი გადაჭარბებულად გვეჩვენება, თუმცა დიდი რაოდენობით „ბერების“ ყოფნას სოხუმისა და განსაკუთრებით გულრიფშის რაიონებში, კერძოდ, წებელდაში ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს. ამ ცრუ ბერებს მინიჭებული აქვთ აფხაზეთის მოქალაქეობა, ისინი უკვე ფლობენ დიდძალ მამულებს. სხვათა შორის, ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ რუსულ ეკლესიას 1886 წლიდან გულრიფშის რაიონში 219 დესეტინა მიწა გადაეცა საკუთრებაში, XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დაემატა კიდევ 60 დესეტინა წებელდაში. მოგეხსენებათ, ერთი დესეტინა ჰექტარზე ოდნავ მეტია. სულაც არ არის გამორიცხული, რომ რუსულმა ეკლესიამ სწორედ ეს მისი „კუთვნილი“ მიწები დაიბრუნა და იქ ცრუ ბერები დაასახლა. ასეა თუ ისე, დაკავებულ მიწებზე მათ შექმნეს გასამხედროებული გამაგრებული დასახლებები, სადაც უფლისადმი ლოცვებს კი არ აღავლენენ, არამედ ძირითადად სამხედრო მომზადებით არიან დაკავებული. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს მათი ნამდვილი მიზანი და დანიშნულება. აღნიშნული საკითხი, მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, დამატებით უნდა იქნეს შესწავლილი.

თქვენ, რა თქმა უნდა, იცით იმის შესახებაც, რომ კრასნოდარის ყოფილმა გუბერნატორმა, ამჟამად კი ბიზნესმენმა ალ. ტკაჩოვმა ბიჭვინთაში 45 ჰექტარი მიწა შეიძინა, სადაც ტურისტული კომპლექსის აშენებას აპირებს. სოხუმში ჩატარებულ

პრეზენტაციაზე ამ ფაქტის გახმაურებამ აფხაზური საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. უკმაყოფილო საზოგადოების დაშოშმინების მიზნით კრასნოდარის მოქმედ გუბერნატორს (ბენიამინ კონდრატიევი) ამოფარებულმა ა. ტკაჩოვმა რამდენიმე დღის წინ აფხაზეთს ჰუმანიტარული დახმარების სახით 3 ათასი ტონა პურის ფქვილი გადასცა, რომელსაც ამჟამად მოსახლეობას ურიგებენ. აფხაზეთში დიდმა და პატარამ იცის, რომ ამ ე. წ. ჰუმანიტარული დახმარების მთავარი მიზანი არის მშიერი ადამიანების მოსყიდვა დე-ფაქტო საპარლამენტო არჩევნების წინ, რომლის შედეგებზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული როგორც ა. ტკაჩოვის, ისე აფხაზეთთან მიმართებაში მთლიანად რუსეთის ანექსიონისტური გეგმების განხორციელების ტემპები, ფორმები და საშუალებები.

აფხაზები „ჰუმანიტარულ“ დახმარებას კი იღებენ, მაგრამ უკიდურესად შეშფოთებული არიან შექმნილი ვითარებით. მათ მშვენივრად იციან, რომ აღმოჩნდნენ გამოუვალ მდგომარეობაში, რომ დღეს თუ არა, ხვალ დილემის წინაშე დადგებიან - ან უნდა დაეთანხმონ 45 პუნქტიანი პროგრამის განხორციელებას, რასაც თვალმისაწვდომ მომავალში მუჰაჯირობის შემდეგ ყველაზე დიდი ეროვნული კატასტროფა შეიძლება მოჰყვეს; თუ ამ უბედურების თავიდან აცილება უნდათ, მაშინ გადარჩენის სხვა გზა უნდა იპოვონ. არჩევანი კი უკიდურესად შეზღუდულია, მხოლოდ ორად ორი გზა არსებობს - რუსეთი ან საქართველო. მესამე გზა, რომელშიაც დამოუკიდებლობა იგულისხმება, იმთავითვე იყო და დარჩა ფიქციად, ანუ მესამე გზა ბუნებაში არ არსებობს. აფხაზური სეპარატიზმის მამების ცნობილი „სიბრძნის“ პერეფრაზირებას თუ მოვახდენთ, რუსულ ოკეანეში გარდუვალ დახრჩობას, ისტორიული ასპარეზიდან სამუდამოდ გაქრობას სჯობია კვლავ ქართულ სივრცეში დაბრუნება, რომელიც დიდი ხანია უკვე არ წარმოადგენს იმ „ჭაობს“, სადაც მათ არ უნდოდათ ცხოვრება. პირიქით, მხოლოდ საქართველოში არსებობს გადარჩენის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ყველანაირი პირობა, ყველანაირი გარანტია. ვერ ვიტყვით, რომ აფხაზური საზოგადოება დაადგა მეორე ანუ გადარჩენის გზას, თუმცა დანამდვილებით ვიცით, რომ რუსული უძირო ოკეანისკენ მიმავალი პირველი გზა მას კატეგორიულად არ უნდა და გარკვეული ნაწილი აფხაზებისა იმ ერთადერთ ალტერნატივაზე ფიქრობს. ჩვენც არაერთხელ გვინახავს და გვისაუბრია ასეთ აფხაზებთან. როგორც თვითონ ამბობენ, ისინი არც თუ ისე ცოტანი არიან.

კრემლი რომ აფხაზეთის ანექსიას აპირებს და ახალ ტრაგედიას უმზადებს აფხაზ ხალხს, ამაზე მიუთითებს აფხაზეთის მიმართ რუსეთის სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო, დემოგრაფიული პოლიტიკა, ოფიციალური და არაოფიციალური იდეოლოგია, საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მან უკვე შექმნა და აგრძელებს მის სრულყოფას. რუსულმა მედიამ რუსულ საზოგადოებას ფაქტობრივად უკვე ჩამოუყალიბა აფხაზების, როგორც მთლიანად მოსკოვის კმაყოფაზე მყოფი მეორეხარისხოვანი, უმაქნისი და უმადური ხალხის იმიჯი, რომელმაც ვერ შექმნა სახელმწიფო, ვერ აღადგინა 30 წლის წინ დანგრეული

მეურნეობა. ამჟამად სოციალურ ქსელებში ვრცელდება აფხაზეთში მყოფი თუ მომუშავე ერთ-ერთი რუსი გიდის შეურაცხმყოფელი მონათხრობი რუს ტურისტებთან აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ. მოგეხსენებათ, გიდები ყოველთვის საკუთარ ქვეყნაში აღიარებულ ოფიციალურ ისტორიულ შეხედულებას და ოფიციალურ იდეოლოგიას აცნობენ ტურისტებს. ის რუსი გიდიც რუს ტურისტებს საკუთარი სახელმწიფოს ოფიციალურ შეხედულებებს აცნობს აფხაზ ხალხზე. მისმა მონაყოლმა ჩვენი ყურადღება იმითაც მიიქცია, რომ, გარდა აფხაზი ხალხის შეურაცხყოფისა, ის შეიცავს კიდევ ერთ ძალიან საინტერესო ცნობას, რომელიც სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს. ეხება რა დემოგრაფიულ სიტუაციას, რუსი გიდი ამბობს, რომ აფხაზეთში ცხოვრობს 94 ათასი აფხაზი და 130 ათასი სომეხი. აი, რისი იმედი აქვს მოსკოვს. როგორც ჩანს, ასეთ მონაცემებს შეიცავენ დახურული ოფიციალური რუსული წყაროები. აფხაზებმა შესანიშნავად იციან, რომ რუსეთის მიზანი აფხაზეთში დემოგრაფიული სურათის ისეთნაირად შეცვლაა, რომ გარანტირებულად მოიგოს ნებისმიერი არჩევნები თუ რეფერენდუმი, როცა შესაფერისი დრო დადგება. ამიტომაც ეწინააღმდეგებიან აფხაზები ორმაგი მოქალაქეობის შემოღებას, უძრავი ქონების უცხოელებზე გასხვისებას; ამიტომ იზრდება აფხაზეთში ანტირუსული განწყობა.

ოკუპანტმაც მშვენივრად იცის ყოველივე ამის შესახებ. კრემლიდან ყურადღებით აკვირდებიან და სწავლობენ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, ცვლილებებს საზოგადოების განწყობაში, საზოგადოებრივ აზროვნებაში, განსაკუთრებით რუსეთთან და საქართველოსთან მიმართებაში. სოხუმში მოვლენილი მოსკოველი „ელჩები“ ძირითადად მათთვის არასასურველ განწყობებზე დაკვირვებითა და რეაგირებით იყვნენ დაკავებულები. როგორც ჩანს, ე. წ. ელჩებმა სათანადოდ ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული მისია, რაც მთავარია, ვერ შეარბილეს აფხაზურ საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო მზარდი ანტირუსული განწყობა, ვერ აღმოფხვრეს, ვერ მოსპეს ჯერ კიდევ არსებული ქართულ-აფხაზური კონტაქტები, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ცალკეულ ადამიანებს შორის კავშირები და თანამშრომლობა.

რაც „ელჩებმა“ ვერ მოახერხეს, იმის გაკეთებას ახლა ცდილობს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამოზრდილი და რუსეთის საპატრიარქოში „სულიერად“ გაწვრთნილი, 2021 წლის 17 ნოემბერს აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნული, მაგრამ ბევრად მეტი ამბიციების მქონე ინალ არძინბა. ამა წლის 19 იანვარს ის შეხვდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. უხეში და ამასთანავე მუქარის ტონით მან აფხაზეთში მოქმედ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს აუკრძალა ქართულ-აფხაზური დიალოგის წარმოება, ქართულ მხარესთან რაიმე კავშირში მყოფი პროექტების განხორციელება. აფხაზეთის დე-ფაქტო იუსტიციის სამინისტროში ამჟამად მზადდება „კანონპროექტი“, რომლის მიზანია არაკომერციული ორგანიზაციების და მათი წარმომადგენლების უცხო ქვეყნის აგენტებად გამოცხადება, როგორც ეს

გაკეთდა რუსეთში ჯერ კიდევ 2012, 2017, 2018, 2020 წლებში მიღებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. სხვათა შორის, ამ დრაკონულ აქტებთან აფხაზეთის ე. წ. კანონმდებლობის „ჰარმონიზაციას“ ითვალისწინებს 45 პუნქტიანი პროგრამის 37-ე პუნქტიც. შესაბამისი „კანონი“ სოხუმს 2021 წლის ბოლომდე უნდა მიეღო. როგორც მოგახსენეთ, ჯერ ის მიღებული არ არის, მაგრამ მუშაობა „კანონპროექტზე“ მიმდინარეობს. რამდენიმე დღის წინ, 27 იანვარს, აფხაზეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ღია მიმართვა გაუგზავნეს ასლან ბჟანიას, ალექსანდრე ანკვაბს და ვალერი კვარჩიას მოთხოვნით, უარი თქვან „არაკომერციული ორგანიზაციების - უცხო ქვეყნის აგენტების შესახებ“ ე. წ. კანონის მიღებაზე. მიმართვას ხელს აწერს 352 ადამიანი, ხელმოწერები გრძელდება.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ბატონი ინალ არძინბა შესძლებს ქართულ-აფხაზური კონტაქტების მოშლას. ჩემთვის ცნობილია ინალ არძინბას მუქარების შემდეგ ქართული და აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართული ვიდეოკონფერენციის შესახებ, სადაც აფხაზურმა მხარემ სთხოვა ქართველ კოლეგებს, ყურადღება არ მიაქციონ ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებებს, რომლებიც, მათი აზრით, კრემლისთვისაა განკუთვნილი.

ყველა შემთხვევაში უმაღლესმა საბჭომ უნდა გააგრძელოს ნდობის აღდგენისა და შერიგების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობა სხვადასხვა გზებითა და სხვადსხვა მეთოდებით, მათ შორის ადამიანური კონტაქტების აღდგენისა და წახალისების გზით. ორივე მხარისათვის დამღუპველი იქნება საბოლოო გაუცხოება ჩვენს ხალხებს შორის - გაუცხოება, რომელიც განხილული უნდა იყოს როგორც რუსული ანექსიონისტური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

უმაღლესი საბჭოს იდეოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობის უმთავრესი მიზანი მომავალშიც დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა იქნება, რაც ჩვენი მხრიდან კონკრეტულ ქმედებებს გულისხმობს. ეს იქნება ოკუპანტის წინააღმდეგ მიმართული კარგად გააზრებული პოლიტიკური, იდეოლოგიური, სამართლებრივი, დიპლომატიური, სოციალურ - ეკონომიკური და სხვა ნაბიჯები.

იდეოლოგიურ ბრძოლას ოკუპანტის წინააღმდეგ უმაღლეს საბჭოში ყოველთვის ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება, რა თქმა უნდა, ჩვენი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში. დეოკუპაციის ხელშეწყობის მიზნით უმაღლეს საბჭოში თავის დროზე აფხაზეთის შესახებ მომზადდა, გამოიცა და მთელს მსოფლიოში გავრცელდა დიდძალი ლიტერატურა დაახლოებით 10 ენაზე. 2021 წლის ბოლოს ანუ საშემოდგომო სასესიო პერიოდში ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოიცა იმ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, რომლის მომზადებასა და ჩატარებაში ლომის წილი სწორედ უმაღლეს საბჭოს მიუძღვის, რა თქმა უნდა, ჩვენი მთავრობის

თანადგომით, რომლის თავმჯდომარე მაშინ ბატონი ვახტანგი გახლდათ. გამოცემულ მასალებში მნიშვნელოვანი ადგილი აფხაზეთის პრობლემატიკას უჭირავს.

ჰიბრიდული ომების ეპოქაში არ გვაქვს უფლება ოდნავ მაინც შევასუსტოთ იდეოლოგიური ბრძოლა ოკუპანტთან. ვერ ვიტყვი, რომ ამ კუთხით ჩვენ ძალიან ჩამოვრჩებით, უფრო პირიქით. ცხადია, იდეოლოგიური ბრძოლა მხოლოდ ლიტერატურის გამოცემას არ გულისხმობს. მისი ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული საინფორმაციო პოლიტიკის წარმართვაზე. ჩვენ ვაგრძელებთ აქტიურ თანამშრომლობას საინფორმაციო სააგენტო „თაიმერთან“, მედიაცენტრ „მთავართან“, მედიაჰოლდინგ „კვირის“ პრესკლუბთან, აფხაზეთის საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრთან. მათი ხელშეწყობით ჩვენს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას მილიონობით ადამიანი ეცნობა. საინფორმაციო პოლიტიკის წარმოებაში თავისი ადგილი უჭირავს უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდს SCARA-ს. მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ქ-ნ დალი ჯონჯუას, ასევე დავით ჟვანიას, ხვიჩა ქარდავას. არ შემიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნო ბ-ნ მურმან კვარაცხელიას მოვლინება ახალ ამპლუაში - მისი ყოველკვირეული საავტორო გადაცემა „ჩემო აფხაზეთო“ ქართულ TV-ზე საკმაოდ საინტერესოა და მაყურებელიც ბევრი ჰყავს.

საინფორმაციო პოლიტიკის წარმოებაში გვაქვს გარკვეული პრობლემები, ხარვეზები. კერძოდ, გვჭირდება უკეთესი ტექნიკური აღჭურვილობა. ეს პრობლემა მიმდინარე სასესიო პერიოდში, ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც მოგვარდება. არ არის საკმარისი ინფორმაციის მხოლოდ ქართულ ან თუნდაც ინგლისურ ენებზე გავრცელება, მაშინ როდესაც საქმე გვაქვს რუსეთთან, როდესაც ურთიერთობა დასალაგებელია უპირატესად რუსულენოვან აფხაზურ მოსახლეობასთან. არის სხვა პრობლემებიც.

დეოკუპაციის პოლიტიკის ხელშეწყობა გულისხმობს ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობას, მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ამ მიმართულებით მუშაობს ორი კომიტეტი, რომელთა თავმჯდომარეები არიან ქ-ნი ადა მარშანია და ბ-ნი რუდიკ ცატავა, აგრეთვე აპარატის შემადგენლობაში არსებული ერთი სამსახური ქ-ნ ნანა კვარაცხელიას ხელმძღვანელობით. ქ-ნი ადა და ბ-ნი რუდიკი სხვა დროს თავად მოახსენებენ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ამიტომ, თქვენი ნებართვით, შემოვიფარგლები ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ კონკრეტულად გალის რაიონში გაწეული მუშაობის ცალკეულ ასპექტებზე საუბრით, თანაც მოკლედ.

გალის რაიონში ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევა, მათ შორის მშობლიურ ენაზე სწავლების აკრძალვა, როგორც თქვენთვის ცნობილია, მიზნად ისახავს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ასიმილაციას ან აფხაზეთიდან გამოძევებას. ესეც ანექსიონისტური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახლავთ. ამ

პოლიტიკის საპირწონედ სამსახურის უფროსის ქ-ნ ნანა კვარაცხელიას ხელმძღვანელობით უკვე მესამე წელია, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხორციელდება საპილოტე პროექტი „ქართულენოვანი დისტანციური სინქრონული და ასინქრონული სწავლება“. დღეისათვის პროექტში ჩართულია 77 მოსწავლე და რამდენიმე პედაგოგი, რომელთა შორის ორი აფხაზია. სამსახურის დახმარებით მოსწავლეები და პედაგოგები ჩართულები არიან სხვადასხვა შიდა თუ საერთაშორისო პროექტებში და წარმატებებსაც აღწევენ. შემდგომში ქ-ნი ნანა უფრო დეტალურად მოგვახსენებს გაწეული მუშაობის შესახებ.

საპილოტე პროექტმა დაგვანახა, რამდენად აუცილებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართულენოვან კლასგარეშე დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა. ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ სწავლების ეს ფორმა გახდება სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ნაწილი. მისასალმებელია, რომ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, მართალია, დიდი დაგვიანებით, მაგრამ მინისტრად ქ-ნ ეკა ხოფერიას დანიშვნის შემდეგ, წამოიწყო დისტანციური საკვირაო სწავლების კიდევ ერთი საპილოტე პროექტი. სამინისტროს მიერ გამართულ პრეზენტაციაზეც კარგად გამოჩნდა, რომ საოკუპაციო საგანმანათლებლო ანუ ასიმილატორულ პოლიტიკას ჩვენ შეგვიძლია დავუპირისპიროთ მხოლოდ და მხოლოდ კლასგარეშე ქართულენოვანი დისტანციური სწავლება, რომელიც, ყველა მონაცემით, ძალიან პოპულარულია ადგილობრივ მოსახლეობაში.

რაც შეეხება ხელისშემშლელ ფაქტორებს, დავასახელებდი ორ მთავარ პრობლემას, რომელიც არსებობს ენგურს გაღმაც და გამოღმაც. ენგურს გაღმა ეს არის მოსახლეობის კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა, გამოღმა კი, უფრო კონკრეტულად აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში განათლების მიმართულებით ისეთი გამოცდილი ახალგაზრდა კადრების დაწინაურება, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებში და დისტანციური სწავლების მეთოდიკაში კარგად იქნებიან გარკვეული. ქართულენოვანი კლასგარეშე დისტანციური სწავლების პროექტი წარმატებული გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის იქცევა სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ნაწილად, როდესაც მის ორგანიზებას საკუთარ ხელში აიღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რა თქმა უნდა, აფხაზეთის მთავრობასთან ერთად. მანამდე ჩვენ გავაგრძელებთ და უფრო განვავითარებთ საპილოტე პროექტს, რომელსაც ვახორციელებთ.

დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობის ფარგლებში უმაღლესი საბჭო მიმდინარე სასესიო პერიოდში აუცილებლად დაკავდება ადრე გამოცხადებულ პროექტებზე მუშაობით, რომელთა განხორციელება ვერ ხერხდებოდა ძირათადად პანდემიისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო. მხედველობაში მაქვს საერთაშორისო სამართლებრივი ბრძოლა ოკუპანტებთან, ამ ბრძოლის, თუ ასე შეიძლება ითქვას, წინასწარი პოლიტიკურ-დიპლომატიური უზრუნველყოფა; მხედველობაში გვაქვს ასევე მომავალი აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივ

სტატუსზე მუშაობის დაწყება, რისთვისაც აუცილებელია მდიდარი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება.

ვასრულებთ რა მიმართვას, მინდა მოგახსენოთ საკითხის შესახებ, რომელსაც ყოველი სასესიო პერიოდის გახსნისას ვეხებოდით - ეს არის სამუშაო პირობების გაუმჯობესების თემა. 2022 წლის საგაზაფხულო სესიის გახსნაზე ანუ დღეიდან ვწყვეტთ ამ თემაზე საუბარს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქ-ნ ადა მარშანიას ერთ-ერთ საინტერესო იდეას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ უმაღლეს საბჭოს, პირველად მისი არსებობის მანძილზე, უკვე აქვს არა იდეალური, მაგრამ საკმაოდ ნორმალური სამუშაო პირობები. მარტო ფართი ერთნახევარჯერ და უფრო მეტად არის გაზრდილი. იგი მთლიანად გარემონტებულიცაა; დარჩენილია მხოლოდ წვრილმანი სამუშაოები, რომლებიც ასევე ძალიან მალე დასრულდება. ყოველგვარი დაკონკრეტების, შედარებების და ზედმეტად ჩაღრმავების გარეშე მინდა აქვე გასაგებად ვთქვა, რომ უმაღლესი საბჭოს ოფისის ყოვლისმომცველი რემონტი მისი ხელახალი გადახურვის ჩათვლით, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის მქონე სხდომათა დარბაზის მოწყობა და ა. შ. განხორციელდა მინიმალურზე მინიმალური დანახარჯებით. ამას უნდა დაემატოს უსასყიდლოდ შეძენილი თუ მოპოვებული მაღალი ხარისხის ავეჯით მთელი ოფისის უზრუნველყოფა. ეს ყოველივე გახლავთ აპარატის უფროსის ბ-ნ ზურაბ მებონიას, ლოჯისტიკისა და საფინანსო სამსახურის უფროსის ბ-ნ თემურ ურიდიას და სხვა თანამშრომლების, ტექნიკური პერსონალის დიდი დამსახურება. მადლობა მათ გაწეული კეთისინდისიერი და ამასთანავე ძალიან მძიმე შრომისთვის.

დასასრულს მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ახალი სასესიო პერიოდი, რომელიც დღეს გაიხსნა, ჩვენი საერთო ძალისხმევით, იქნება უფრო წარმატებული; ის იქნება აგრეთვე კორონავირუსული პანდემიის დასრულების, რეგიონში მყარი და სამართლიანი მშვიდობის დამკვიდრების პერიოდი.

გმადლობთ ყურადღებისთვის.

2022 წლის 1 თებერვალი.